განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

19/06/2026

MES 2 26 0000766767

ბრძანება

თბილისი

„პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების“ „საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო ვიზიტების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიული მასწავლებლების საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობის მიზნით, აპლიკანტთა განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენის ვადების და აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამები“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 დეკემბრის №1864110 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების“ „საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო ვიზიტების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის, „ზვიად გაბისონიასათვის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნირებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 17 ივნისის №742081 ბრძანების, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის №28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 16 ივნისის №725647 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების“ „საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო ვიზიტების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში: იტალიაში, ქალაქ კოლორნოში, ალმას კულინარიის სკოლაში (ALMA – The School of Italian Culinary Arts) და

საფრანგეთში, ქალაქ პარიზში, ეკოლ დუკასის კულინარიის სკოლაში (École Ducasse) კულინარიის ხელოვნების მიმართულების პროფესიული მასწავლებლების ვიზიტში მონაწილეობის მიზნით; საფრანგეთში, ქალაქ ისინჟოში, ეკოლ დუკასის კონდიტერიის სკოლაში (École Ducasse) საკონდიტრო ხელოვნების პროფესიული მასწავლებლების ვიზიტში მონაწილეობის მიზნით; შვეიცარიაში, ქალაქ ბერნში, ბერნის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში (Haute école spécialisée BFH) რძის პროდუქტების წარმოების და ფერმერობის მიმართულების მასწავლებლების ვიზიტში მონაწილეობის მიზნით; ავსტრიაში, ქალაქ ვენაში (TU Wien Academy) ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულების მასწავლებლების ვიზიტში (ხელოვნური ინტელექტის კურსზე) მონაწილეობის მიზნით:

ა) აპლიკანტთა განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენის ვადები განისაზღვროს 2026 წლის 22 ივნისიდან 2026 წლის 03 ივლისის ჩათვლით;

ბ) განისაზღვროს აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი
ზვიად გაბისონია

იტალიაში, ქალაქ კოლორნოში, ალმას კულინარიის სკოლაში (ALMA – The School of Italian Culinary Arts) და საფრანგეთში, ქალაქ პარიზში, ეკოლ დუკასის კულინარიის სკოლაში (École Ducasse) კულინარიის ხელოვნების მიმართულების პროფესიული მასწავლებლების ვიზიტში მონაწილეობის მიზნით; საფრანგეთში, ქალაქ ისინჟოში, ეკოლ დუკასის კონდიტერიის სკოლაში (École Ducasse) საკონდიტრო ხელოვნების პროფესიული მასწავლებლების ვიზიტში მონაწილეობის მიზნით; შვეიცარიაში, ქალაქ ბერნში, ბერნის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში (Haute école spécialisée BFH) რძის პროდუქტების წარმოების და ფერმერობის მიმართულების მასწავლებლების ვიზიტში მონაწილეობის მიზნით; ავსტრიაში, ქალაქ ვენაში (TU Wien Academy) ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულების მასწავლებლების ვიზიტში (ხელოვნური ინტელექტის კურსზე) მონაწილეობის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები

1. კონკურსის ფარგლებში, აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1.1. შევსებული განაცხადი, ქვეპროგრამის დანართი N1.2-ით გათვალისწინებული ფორმით;
1.2. რეპლიკაციის აქტივობების გეგმა;
1.3. აპლიკანტის დამსაქმებელი დაწესებულების ხელმძღვანელის/ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მიერ სარეკომენდაციო წერილი, ქვეპროგრამის დანართი 1.3.-ით გათვალისწინებული ფორმით.

2. მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები:

2.1. აპლიკანტი არის საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი;
2.2. აპლიკანტი ახორციელებს დარგობრივ პროფესიულ მოდულ(ებ)ს, კურსების შესაბამისი მიმართულების პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების ფარგლებში;
2.3. აპლიკანტი ფლობს ინგლისურ ენას საკომუნიკაციო დონეზე.